მორწმუნეთა მაგალითი ურთიერთსიყვარულში, მოწყალებაში და თანაგრძნობაში ჰგავს სხეულს: თუ მისი რომელიმე ნაწილი იტანჯება, მთლიანი სხეული უპასუხებს უძილობითა და სიცხით

გადმოცემულია ან-ნუ'მაან იბნ ბაშირისგან, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მორწმუნეთა მაგალითი ურთიერთსიყვარულში, მოწყალებაში და თანაგრძნობაში ჰგავს სხეულს: თუ მისი რომელიმე ნაწილი იტანჯება, მთლიანი სხეული უპასუხებს უძილობითა და სიცხით».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ მუსლიმების ურთიერთობა ერთმანეთთან უნდა ეფუძნებოდეს სიკეთის სურვილს, მოწყალებას, დახმარებასა და მხარდაჭერას. მათ უნდა იგრძნონ ტკივილი, თუ ვინმე მათგან ზიანს მიიღებს, როგორც ერთი სხეულის ნაწილები. როდესაც სხეულის რომელიმე ნაწილი დაავადდება, მთელი სხეული რეაგირებს უძილობითა და სიცხით.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4969